#### V. ჯიშის ნიშან-თვისებები

ნიშან-თვისება		გამოსატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი კაბლო	ინდექსი
	1	2	3	4
ლებანი ფერი		მოწითალო	მოყვითალო	
მცენარე	დგომა	ნახევრად დახრილი	ნახევრად დახრილი	3
	ატოციანური შეფერილობა	არა აქვს	არა აქვს	9
	სიმაღლე ყვავილობის დროს	დაბალი	საშუალო	3 5
	დატოტგის ინტენსიობა	ძლიერი	ძლიერი	7
ვრცელები	ფორმა	ელიფსური	ელიფსური	1
	მწვანე ფერის ინტენსიობა	საშუალო	მუქი	2
	ფოთოლი ზომა	საშუალო	დიდი	5 7
მტევნანი ყვავილების რაოდენობა ყოველ კანძზე	სამი	სამი		5

	1	2	3	4
ავაგილი	ზომა	საშუალო	დიდი	5 7
	იისფერი ხაზები წიბოებზე	აღენიშნება	აღენიშნება	9
პარეკი	ფერის ინტენსიობა (სრული სიმწიფის ფაზაში)	საშუალო	საშუალო	5
	თესლების რაოდენობა	ერთიდან ორამდე	ერთიდან ორამდე	2
	ფერი ასაღები სიმწიფის ფაზაში	ყვითელი	ყვითელი	1
	წვერის ფორმა	შემოკლებული	წაწვებებული	1 3
მშრალი იმსლი მასა	საშუალო	მაღალი		5 7
ყვავილობის პერიოდი	ადრეული გვიანი ძალიან გვიანი		საშუალო	3 5
მომზიფების პერიოდი	სადრეო	საშუალო		3 5

## VI. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავება

მსგავსი ჯიშის სახელი	ნიშანი, რომელითაც განაცხადის ჯიში განსხვავდება მსგავსისაგან	ნიშის გამოხატვის ხარისხი	
		მსგავსი ჯიში	განდიდატი ჯიში
პაბლო	ჯიში „პაბლო“ არის მაღალ- მოზარდი და საგვიანო კანდიდატი ჯიშ „წილკონტანტი“ შედარებით.	მაღალი; მოზარდი; საგვიანო	დაბალმოზარდი; საადრეო

## VII. დამატებითი ინფორმაცია

### 1) მავნებლებისა და დაავადებებისადმი მდგრადობა

ჯიში „წილკანტი“ არის საადრეო და დაავადებებისადმი გამძლე ჯიში.

### 2) ჯიშის გამოცდის განსაკუთრებული პირობები

არა

**3) სხვა ინფორმაცია**

ჯიში „წილკანი“ არის დიდ ფართობზე მექანიზებული მოვლა-მოყვანისა-თვის გარგისი ჯიში.



## 2.3. დანართი 3

### ANNEX 3

#### კ ი შ ი ს ა ღ მ ე რ ი ლ ო ბ ა

I. კულტურა: მუხედო Cicer Arietinum L

(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

II. განმცხადებელი: თამარ ახალაძე (GE)

III. ჯიშის დასახელება: სარკინეთი

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმომავლობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე

ჯიში „სარკინეთი“ გამოყვანილია მიწაობოქმედების ინსტიტუტის მასობრივი გამორჩევის მქონე მეთოდით. საწყის მასალად გამოყენებულია თეთრიწყაროს რაიონის სოფელ დაღეთიდან, გლეხურ მეურნეობაში, მუხედოს შერჩეული მცენარეები.

V. ჯიშის ნიშან-თვისებები

ნიშან-თვისება		გამოხატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი ელექსირი	ინდექსი
	1	2	3	4
გ	ზრდის ტიპი (ყვავილობის შემდეგ)	ნახევრად სწორი	ნახევრად სწორი	3
	განშტოება	საშუალო	საშუალო	3
	სიმაღლე (პარკის სრული განვითარებისას)	მაღალი	საშუალო	7 5
ღ	ღერო ანტოციანური შეფერვა	გააჩნია	არ გააჩნია	9 1
	ვოლოლი მწვანე ფერის ინტენსივობა	ნათელი	საშუალო	3 5
	ვოლოლიანი ზომა	საშუალო	განიერი	5 7
	გვავლი შეფერილობა	თეთრი	თეთრი	1

	1	2	3	4
პარტი	ზომა	საშუალო	განიერი	5 7
	მწვანე ფერის ინტენსიობა	საშუალო	ნათელი	3 1
	თესლის რაოდენობა	ერთი და ორი	ერთი და ორი	2
ოქსიდი	შეფერილობა (ნაყოფის სიმწიფიდან 1 თვის შემდეგ)	მოყვითალო ფავისფერი	მოყვითალო ყავისფერი	3
	წონა	საშუალო	მაღალი	9 7
	ფორმა	მრგვალი კუთხისებური	მრგვალი კუთხისებური	2
	წიბო	არ გააჩნია ან ძალიან სუსტია	საშუალო	1 5
გვაცილების დრო (მცენარის 80% აქტე, სულ ცოტა, ერთი კვაგილი)		საშუალო	ადრეული	5 3
გრძელი თესლის სიმრიცის დრო		ადრეული	ადრეული	3

## VI. მსგავსი ჯიშები და მათგან განმასხვავება

მსგავსი ჯიშის სახელი	ნიშანი, რომლითაც განაცხადის ჯიში ბანსებავდება მსგავსისაბან	ნიშნის გამოხატვის ხარისხი	
		მსგავსი ჯიში	კანდიდატი ჯიში
ელექტორი	საადრეობა მარცვლის სიმსხო დაავადებებისადმი გამძლეობა თესვის დრო	საადრეო; მსხვილი დაავადებებისადმი ნაკლებად გამძლე საშემოდგომო	საშ. საგვიანო; ძალიან მსხვილი დაავადებებისადმი გამძლე საგაზაფხულო

## VII. დამატებითი ინფორმაცია

მცენარის განტოტვა იწყება ნიადაგის ზედაპირიდან 12 სმ-ში. ვარგისია მექანიზებული აღებისათვის.

### 1) მავნებლებისა და დაავადებებისადმი მდგრადობა

ჭარბი ნალექების პირობებში მცენარე მცირედ ავადდება ასკონიტოზით და ფუზარიოზით.

### 2) ჯიშის გამოცდის განსაკუთრებული პირობები

არა

**3) სხვა ინფორმაცია**

ჯიში არის საგაზაფხულო.



## 2.4. დანართი 4

### ANNEX 4

#### კ ი შ ი ს ა ღ მ ე რ ი ლ ო ბ ა

I. გულტურა: პამიდორი                   *Licopersicum esculentum L.*

(ქართული სახელი)

(ლათინური სახელი)

II. განმცხადებელი: ი. ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი

3300 მცხეთა, წეროვანი (GE)

III. ჯიშის დასახელება: ვარდისფერი ჭოპორტულა

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმომავლობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე

1993 წელს დაიწყო სელექციური მუშაობა. ბუნებრივი ჰიბრიდიზაციით, გამორჩევით მაღალი ტემპერატურისა და მშრალი კლიმატის პირობებში. ვარდისფერი და წითელი პამიდორის ნათესიდან გამორჩეული იქნა ვარდისფერი ჭოპორტულა ალექსანდრე სარალიძის საკარმიდამო ნაკვეთში. ელიტური მასალა გამოვლინდა 1996 წელს. საკონკურსო ჯიშთა გამოცდა ჩატარდა 2005-2006 წ. მუხრანში შპს „სერგო დალაქიშვილთან“.

ჯიში „არაგვიდან“, რომელიც სასიათდებოდა ნაყოფის სხვადასხვა ფერით და ფორმით, გამოირჩა „ვარდისფერი ჭოპორტულა“.

V. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავება

„არაგვი“ არის საგვიანო ჯიში და მოსავალს იძლევა ნოემბრის ბოლომდე. დღეთა რაოდენობამ აღმოცენებიდან სიმწიფის დაწყებამდე შეადგინა 131 დღე. ნაყოფმსხმოიარობის პერიოდი განისაზღვრა 84 დღით.

ჯიში „ვარდისფერი ჭოპორტულა“ „არაგვისგან“ განსხვავებით არის საშუალო საგვიანო ჯიში. აღმოცენებიდან სიმწიფის დაწყებამდე დღეთა რაოდენობა შეადგენს 120 დღეს, ნაყოფმსხმოიარობის პერიოდი კი – 75 დღეს.

## VI. დამატებითი ინფორმაცია

### 1) მავნებლებისა და დაავადებებისადმი მდგრადობა

ჯიში „ვარდისფერი ჭოპორტულა“ ძალიან მცირედ ავადდება ფიტოფტორით – 0,4%, გამძლეობას იჩენს ვირუსული დაავადებების, ნაცრის, ჭკნობის, ბაქტერიული ლაქიანობის მიმართ.

### 2) ჯიშის გამოცდის განსაკუთრებული პირობები

ა) ვარდისფერი ჭოპორტულა არის საშუალო საგვიანო ვეგეტაციის ჯიში დია გრუნტში მოსაყვანად. მისი ფორმირება შეიძლება როგორც საყრდენზე, ისე უსაყრდენოდ. მექანიზაცია გამოიყენება მცენარის დაწოლამდე, შემდეგი მოვლითი სამუშაოები სრულდება ხელით.

ბ) საყრდენზე მცენარის სიხშირე არის  $70\times60$  სმ. პა-ზე 24 ათასი მცენარე უსაყრდენოდ მცენარის სიხშირე არის  $70\times70$  სმ. პექტარზე 21 ათასი მცენარე.

### 3) სხვა ინფორმაცია

ვარდისფერი ჭოპორტულას ნაყოფები გამორჩეულია განსაკუთრებული გემური თვისებებით. მისი სტანდარტული ნაყოფები გამოიყენება უმად მოსახმარად, სასალათედ, ხოლო არასტანდარტული გამოიყენება – გადასამუშავებლად (საწებლებისთვის, კონსერვებისთვის).

## VII. გავრცელების ზონა

ვარდისფერი ჭოპორტულა რეკომენდირებულია მე-9 ზონის რაიონებში გასავრცელებლად. აგრეთვე 1 ზონაში, ზუგდიდისა და ხობის რაიონების დაბლობი ნაწილებისათვის და მე-3 ზონაში ვანის და ტყიბულის რაიონების დაბლობი ნაწილებისათვის.

## VIII. თესლის დამზადება

თესლი მზადდება არსებული ტექნოლოგიით, ძირითადად კი მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ყვავილებიდან აღებული ტექნიკურად მწიფე ნაყოფებიდან.

ჯიშის წარმოებისათვის აუცილებელია ელიტური თესლის მომზადება დასათესად და ჩითილის გამოყვანა, მოვლითი სამუშაოების დროულად და მაღალ-მეცნიერულ დონეზე ჩატარდა, საყრდენზე ფორმირება ორ ღეროზე, დანარჩენი

ნამსრევების შეცვლა. უსაყრდენოდ-ფორმირება ბუნებრივად. კრეფის სიხშირე 4-5 დღეში ერთხელ.



## 2.5. დანართი 5

### ANNEX 5

#### კ ი შ ი ს ა ღ მ ე რ ი ლ ო ბ ა

I. კულტურა: საბოსტნე სოია Vegetable SOYA BEAN

(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

II. განმცხადებელი: ი. ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი

3300 მცხეთა, წეროვანი (GE)

III. ჯიშის დასახელება: მწვანეპარკიანი

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმომავლობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე

საბოსტნე სოია – „მწვანეპარკიანი” არის საქართველოსთვის არატრადიციული კულტურა და მისი დანერგვა მებოსტნეობაში აუცილებელია აგროსამრეწველო კომპლექსის მყარი ბაზის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ჯიში ინსტიტუტის მოთხოვნით მიღებულია ტაიგანიდან მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან. მისი გამოცდა 2007-2008 წლებში მიმდინარეობდა გარდაბნის საცდელ სადგურში.

#### 1) გამოყვანისა და გამრავლების ხერხი

ჯიში „მწვანეპარკიანის” ინტროდუცირება მიმდინარეობს 2007 წლიდან საქართველოს სსიპ ი. ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტის დაქვემდებარების სტრუქტურულ ერთეულში – გარდაბნის საცდელ სადგურში. მისი გამრავლება ხდებოდა თესლით.

#### 2) სხვა ინფორმაცია

საბოსტნე სოია – „მწვანეპარკიანი” არის საშუალო საგვიანო პერსპექტიული ჯიში საგაზაფხულო და განმეორებითი თესვისათვის. მცენარეს გააჩნია მძლავრი ფესვთა სისტემა. კარგად შეფოთლილი ბუჩქი, სიმაღლით 85-90 სმ. პარკების წარმოქმნა ხდება ლეროს მთელ სიგრძეზე. პარკი არის მსხვილი, მაგარი კანით, მუქი მწვანე შეფერილობით, ოდნავ დაშვებული.

მცენარე ხასიათდება სწორმდგომი დეროთი. მთავარ დეროზე მთელ სიგრძეზე ხდება პარკების ფორმირება. ერთ მცენარეზე დაახლოებით 120 ცალამდე პარკია. ფესვთა სისტემა მთავარდერძაა, ფოთოლი ოვალურია, მახვილი ბოლოთი, ყვავილი – ოეთრი, პარკი – მწვანე, ოესლი – მწვანე, მრგვალი. 1000 ცალი მწვანე ოესლის წონა 760 გრამია.

#### V. ჯიშის ნიშან-თვისებები

ნიშან-თვისება		06დექსი	გამოხატვის ხარისხი	ეტალონი, ჯიში
5.1 (5)	მცენარე დეროს ფერი	1 [ ]	ნაცრისფერი	Apache, Alaric, Talon, Imari
		2 [2]	ყავისფერი	Maple Glen, Chandor, Paoki, Agata
5.2 (11)	შვავილი ფერი	1 [1]	თეთრი	Chandor, Crésir, Toréador
		2 [ ]	იისფერი	Fransoy 242, Imari, Apache, Queen
5.3 (17)	თმელი ბორცვაკის ფერი	1 [ ]	ნაცრისფერი	Spot, Major, Apache
		2 [2]	ყვითელი	Maple Arrow, Imari, Talon
		3 [ ]	მცირედ ყავისფერი	Kingsoy, Argenta, Baron, Opale
		4 [ ]	ძლიერ ყავისფერი	Fransoy 242, Aurélia, Léman
		5 [ ]	არასრულად შავი	Wells, Kador, Folio
		6 [ ]	შავი	Chandor, Queen, Paoki
5.4 (20)	მცენარე სიმწიფის დრო	1 [ ]	ძალიან ადრეული	Trump, Soléo, Kola, Carla, Paradis
		2 [ ]	ძალიან ადრეული ან ადრეული	Chandor, Apache, Labrador
		3 [ ]	ადრეული	Canton, Queen, Paoki, Aurélia
		4 [ ]	საშუალოდ ადრეული	Kador, Kingsoy, Alaric, Niva
		5 [ ]	საშუალო	Williams
		6 [6]	საშუალო საგვიანო	
		7 [ ]	საგვიანო	
		8 [ ]	საგვიანო ან ძალიან	
		9 [ ]	საგვიანო	
			ძალიან საგვიანო	

#### VI. დამატებითი ინფორმაცია

##### 1) მავნებლებისა და დაავადებებისადმი მდგრადობა

ჯიში „მწვანეპარკიანი” გამძლეობას იჩენს ისეთი დაავადებების მიმართ, როგორიცაა: ბაქტერიოზი, ფუზარიოზი, სეპტორიოზი, პერონისპოროზი, მოზაიკა. რაც შეეხება სოკოვან დაავადებებს, ეფექტურია ოესლის გაწმენდა, კულტურათა მორიგეობის დაცვა და აგროტექნიკური დონისძიებების დროულად ჩატარება.

**2) ჯიშის გამოცდის განსაკუთრებული პირობები**

„მწვანეპარკიანის” მოყვანა წარმატებით შეიძლება, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ რაიონებში. მაღალი მოსავლის მიღებისათვის მწკრივთა შორის მანძილი უნდა იყოს 70 სმ, მწკრივში მცენარეთა შორის მანძილი – 20 სმ. ამ დროს პარკების მოსავლიანობა მაღალია.



## 2.6. დანართი 6

### ANNEX 6

#### კ ი შ ი ს ა ღ მ ე რ ი ლ ო ბ ა

I. კულტურა: პამიდორი      *Licopersicum esculentum L*  
 (ქართული სახელი)      (ლათინური სახელი)

II. განმცხადებელი: ი. ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი  
 3300 მცხეთა, წეროვანი (GE)

III. ჯიშის დასახელება: საადრეო

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმომავლობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე

#### 1) გამოყვანისა და გამრავლების ხერხი

კულტურის გამრავლება	[არა]
თესლით გამრავლება	[თესლით]
ჰიბრიდით	[არა]
ჯიში	[ჯიში]

#### V. სხვა ინფორმაცია

საწყისი მასალა მიღებულია ტაივანიდან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან 2007 წელს ინსტიტუტის მოთხოვნით. ჯიშთა გამოცდა მიმდინარეობდა 2007-2009 წლებში სსიპ – ი. ლომოურის მიწათმოქმედების დაქვემდებარების სტრუქტურული ერთეულის-სართიჭალის საცდელი სადგურის ტერიტორიაზე.

#### VI. ჯიშის ნიშან-თვისებები

ნიშან-თვისება		06დექსი	ბამოხატვის ხარისხი	ეტალონი, ჯიში
1	2	3	4	5
5.1 (2)	მცხეარე ზრდის ტიპი	1 [1] 2 [ ]	დეტერმინანტული ინდეტერმინანტული	Campbell 1327, Prisca Marmande VR, Sain-Pierre, San Marzano 2
5.2 (9)	ფოთოლი განკვეთილობა	1 [ ] 2 [2]	ფრთისებრი ორმაგურთისებრი	Pilot, Red Jacket, Mikado Lukullus, Saint-Pierre

1	2	3	4	5
5.3 (20)	შვავილის შუნი განცალკევებული შრე	1 [ ] 9 [2]	არ გააჩნია გააჩნია	Aledo, Bandera, Count, Lerica Montfavet H 63.5, Roma
<b>ნაყოფი</b>				
5.4 (22)	ზომა	1 [ ] 3 [ ] 5 [5] 7 [ ] 9 [ ]	ძალიან წვრილი წვრილი საშუალო მსხვილი ძალიან მსხვილი	Cerise, Sweet 100 Early Mech, Europeel, Roma Alphamech, Diego Carmello, Ringo Erlidor, Lydia, Muril
5.5 (24)	გრძივი კვეთის ფორმა	1 [ ] 2 [ ] 3 [ ] 4 [ ] 5 [ ] 6 [ ] 7 [ ] 8 [ ] 9 [ ] 10 [ ]	ბრტყელი მრგვალად ბრტყელი მრგვალი პუბისქბური ცილინდრული ელიფსური გულისქბური უპაკერცხისებური პვერცხისებრი მსხვილისებური	Campbell 28, Marmande VR Montfavet H 63.5, Montfavet H 63.4 Cerise Moneymaker Early Mech, Peto Gro Hypeel 244, Macero II, San Marzano 2 Alcaria, Castone Valenciano Barbara Rimone, Rio Grande Europeel
5.6 (25)	ნაყოფის ყუნწის წიბო	1 [ ] 3 [ ] 5 [5] 7 [ ] 9 [ ]	არ გააჩნია ან ძალიან სუსტი სუსტი საშუალო ძლიერი ძალიან ძლიერი	Calimo, Cerise Early Mech, Hypeel 244, Melody, Peto Gro, Rio Grande Montfavet H 63.5, Montfavet H 63.4 Campbell 1327, Carmello, Count Costeluto Fiorentino, Marmande VR
5.7 (33)	საკნების რაოდენობა	1 [ ] 2 [2] 3 [ ] 4 [ ] 5 [ ]	ორი ორი ან სამი სამი ან ოთხი ოთხი, ხუთი ან ექსი ექსზე მეტი	Early Mech, Europeel, San Marzano Alphamech, Futuria Montfavet H 63.5 Raïssa, Tradiro Marmande VR
5.9 (34)	მწვანე წინწალი დასაწყისში (სიმწიფის წინ)	1 [ ] 9 [9]	არ გააჩნია გააჩნია	Rio Grande, Felicia, Trust Montfavet H 63.5, Daniela
5.10 (38)	შეფერილობა სიმწიფისას	1 [ ] 2 [ ] 3 [ ] 4 [ ] 5 [ ] 6 [ ]	ქრემისფერი ყვითელი ნარინჯისფერი ვარდისფერი წითელი მოყავისფრო	Jazon, White Mirabell Goldene Königin, Yellow Pear Sungold House Momotaro Ferline, Montfavet H 63.5, Daniela Ozyrys
5.11 (40)	სიმკვრივე	1 [ ] 3 [ ] 5 [ ] 7 [ ] 9 [ ]	ძალიან რბილი რბილი საშუალო მაგარი ძალიან მაგარი	Marmande VR Trend Cristina Fernova, Konsul, Tradiro Daniela, Karat, Lolek

## VII. დამატებითი ინფორმაცია

### 1) მავნებლებისა და დაავადებებისადმი მდგრადობა

დასახელება	არ გააჩნია	გააჩნია
სამხრეთული ნემატოდა ( <i>Meloidogyne incognita</i> ) (ნიშან-თვისება 46)	[ ]	[ + ]
წვერის და ფესვის სიდამბლე ( <i>Fusarium oxysporum f. sp. radicis lycopersici</i> ) (ნიშან-თვისება 49)	[ ]	[ + ]
ფიტოპროტოზიტი ( <i>Phytophthora infestans</i> ) (ნიშან-თვისება 52)	[ ]	[ + ]
ბაქტერიული ჭენობა ( <i>Ralstonia solanacearum</i> )-რასა 1 (ნიშან-თვისება 56)	[ ]	[ + ]
ნაცარი ( <i>Oidium lycopersi</i> ) (ნიშან-თვისება 60)	[ ]	[ + ]
ფესვის გაკორპება ( <i>Pyrenopeziza lycopersici</i> ) (ნიშან-თვისება 53)	[ ]	[ + ]
ფოთლების რუხი ლაქიანობა ( <i>Stemphylium spp.</i> ) (ნიშან-თვისება 54)	[ ]	[ + ]
ფოთლების ბაქტერიული ლაქიანობა ( <i>Pseudomonas syringae</i> pv. <i>tomato</i> ) (ნიშან-თვისება 55)	[ ]	[ + ]

## VIII. ჯიშის გამოცდის განსაკუთრებული პირობები

### 1) კულტურის ტიპი

საობურის	[არა]
ღია გრუნტის	[ღია გრუნტის]
სარის	[არა]
ასაკრავი	[არა]
ასაკრავის გარეშე	[აკვრის გარეშე]

### 2) გამოყენების მიმართულება

უმაღ მოსახმარი	[უმაღ მოსახმარი]
სამრეწველო გადამუშავებისათვის	[გადამუშავებისათვის]
მთლიანად ნაყოფის დაკონსერვება	[კონსერვებისათვის]
წვენების დამზადება	[წვენებისათვის]
ქოთნის კულტურა	[არა]

### 3) სხვა პირობები

„საადრეოს” პროდუქციის წარმოება წარმატებით შეიძლება უსაყრდენოდ. ჯიშისათვის დამახასიათებელია საშუალოდ დატოტვილი სწორმდგომი ღერო, მექანიზაცია გამოიყენება მცენარის დაწოლამდე, შემდეგი მოვლითი სამუშაოები სრულდება ხელით.

## IX. სხვა ინფორმაცია

ჯიში რეკომენდებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონებში გასავრცელებლად.

ნიადაგის დამუშავება, განოყიერება, თესლის თესვა, ჩითილის გამოყვანა, მოსავლის აღება მიმდინარეობდა საერთაშორისო მახასიათებლების მიხედვით. თესლი დამზადდა ძირითადად მე-2, მე-3 ყვავილებიდან აღებული ტექნიკურად მწიფე ნაყოფებიდან.



## 2.7. დანართი 7

### ANNEX 7

#### კ ი შ ი ს ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ა

I. კულტურა: საბოსტნე სოია      Vegetable SOYA BEAN  
 (ქართული სახელი)      (ლათინური სახელი)

II. განმცხადებელი: ი. ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი  
 3300 მცხეთა, წეროვანი (GE)

III. ჯიშის დასახელება: საბოსტნე 1

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმომავლობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე

„საბოსტნე 1” არის საქართველოსთვის არატრადიციული კულტურა და  
 მისი დანერგვა აუცილებელია მებოსტნეობაში აგროსამრეწველო კომპლექსის  
 მყარი ბაზის უზრუნველსაუფად. აღნიშნული ჯიში ინსტიტუტის მოთხოვნით  
 მიღებულია ტაივანიდან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან.

#### I) გამოყვანისა და გამრავლების ხერხი

ჯიშის „საბოსტნე 1” ინტროდუცირება მიმდინარეობს 2007 წლიდან  
 საქართველოს სსიპ ი. ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტის დაქვემდე-  
 ბარების სტრუქტურულ ერთეულში – გარდაბნის საცდელ სადგურში.

საბოსტნე და სამარცვალე სოია მიეკუთვნებიან ერთ გვარს (*Clycine Max*),  
 მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მთელი რიგი თვისებებით. საბოსტნე  
 სოია სამარცვალე სოისგან განსხვავებით ხასიათდება რბილი პარკით, მწვანე  
 თესლითა და რბილობით, ცილისა და ცხიმის მაღალი შემცველობით.

ტექნიკური სიმწიფის მიღწევამდე საბოსტნე სოია გამოიყენება საკვებად,  
 როგორც ნედლად, ასევე გადამუშავებული სახით. ბიოლოგიურ სიმწიფეში  
 ბოსტნის სოიას თესლის გამოყენება შეიძლება მწვანედ ნედლი მარცვლის  
 სახით. მისი გამრავლება ხდება თესლით.

## V. სხვა ინფორმაცია

მრავალი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ადამიანის კვების რაციონის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საბოსტნე სოიას წარმოება. ის არის ერთადერთი კულტურა მაღალხარისხის ხავანი ცილის შემცველობის მხრივ და მას ანალოგი არ გააჩნია მსოფლიოში. სოიას პროტეინი ახლოსაა ცხოველური წარმოშობის პროტეინთან და ადამიანი მის გადასამუშავებლად ხარჯავს მინიმალურ ენერგიას.

ცხოველური პროტეინი დაახლოებით შეიცავს 15-20% ცილას. ბოსტნეულ პარკოსან კულტურებს (ლობიო, ბარდა) შორის საბოსტნე სოიაში ყველაზე მაღალია ცილის შემცველობა – 44-45%, ხოლო ცხიმი კი 20-22%-ია პარკების მწვანე ფაზაში.

## VI. ჯიშის ნიშან-თვის ებები

ნიშან-თვის ებები		06დექსი	ბამოხატვის ხარისხი	ეტალონი, ჯიში
5.1 (5)	მცენარე დეროს ფერი	1 [ ]	ნაცრისფერი	Apache, Alaric, Talon, Imari
		2 [2]	ყავისფერი	Maple Glen, Chandor, Paoki, Agata
5.2 (11)	ყვავილი ფერი	1 [1]	თეთრი	Chandor, Crésir, Toréador
		2 [ ]	იისფერი	Fransoy 242, Imari, Apache, Queen
5.3 (17)	თეთრი ბორცვაკის ფერი	1 [ ]	ნაცრისფერი	Spot, Major, Apache
		2 [2]	ყვითელი	Maple Arrow, Imari, Talon
		3 [ ]	მცირედ ყავისფერი	Kingsoy, Argenta, Baron, Opale
		4 [ ]	ძლიერ ყავისფერი	Fransoy 242, Aurélia, Léman
		5 [ ]	არასრულად შავი	Wells, Kador, Folio
		6 [ ]	შავი	Chandor, Queen, Paoki
5.4 (20)	მცენარე სიმწიფის დრო	1 [ ]	ძალიან ადრეული	Trump, Soléo, Kola, Carla, Paradis
		2 [ ]	ძალიან ადრეული ან ადრეული	Chandor, Apache, Labrador
		3 [ ]	ადრეული	Canton, Queen, Paoki, Aurélia
		4 [ ]	საშუალოდ ადრეული	Kador, Kingsoy, Alaric, Niva
		5 [ ]	საშუალო	Williams
		6 [6]	საშუალო საგვიანო	
		7 [ ]	საგვიანო	
		8 [ ]	საგვიანო ან ძალიან	
		9 [ ]	საგვიანო ძალიან საგვიანო	

## VII. დამატებითი ინფორმაცია

### 1) მავნებლებისა და დაავადებებისადმი მდგრადობა

ჯიში „საბოსტნე 1” გამძლეობას იჩენს ისეთი დაავადებების მიმართ, როგორიცაა: ბაქტერიოზი, ფუზარიოზი, სეპტორიოზი, პერონისკოროზი, მოზაიკა. რაც შეეხება სოკოვან დაავადებებს, ეფექტურია თესლის გაწმენდა, კულტურათა მორიგეობის დაცვა და აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად ჩატარება.

### 2) ჯიშის გამოცდის განსაკუთრებული პირობები

საბოსტნე სოიას მოყვანა წარმატებით შეიძლება, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ რაიონებში. ჯიშის „საბოსტნე 1” მაღალი მოსავლის მიღებისათვის დგომის სიხშირე უნდა იყოს 90-95 ათასი მცენარე პექტარზე, მწკრივებს შორის მანძილი – 70 სმ, მწკრივში მცენარეთა შორის მანძილი-15 სმ.

## VIII. სხვა ინფორმაცია

მცენარე სასიათდება სწორმდგომი დეროზე, მთავარ დეროზე, განსაკუთრებით მის ქვედა ნაწილში, წარმოიქმნება ორიდან რვამდე და მეტი გვერდითი ტოტები, რაც განაპირობებს ბუჩქის გაშლილობას, ან პირიქით. ვესვთა სისტემა მთავარდერქაა, ფოთოლი ოვალური, მახვილი ბოლოთი, ყვავილი – თეთრი, პარკი – მწვანე 5 სმ სიგრძის, თესლი – მწვანე, მრგვალი. 1000 ცალი მწვანე თესლის წონა 680 გრამია.



## მცენარის ახალი ჯიშის დაცვის თავისებურებანი

მცენარის ჯიში არის გენეტიკური თავისებურებით განპირობებული ორგანიზმი, რომელიც ამა თუ იმ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში ავლენს მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, რაც ვლინდება მიღებული პრო-დუქტის რაოდენობასა და ხარისხში.

მცენარის ახალი ჯიშის გამოყვანის აუცილებლობა ნაკარნახევია მცენარიდან მიღებული მოსავლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების აუცილებლობით, რაც მიიღწევა სასელექციო მუშაობით.

სასელექციო მუშაობა წარმოებს თაობაში შენარჩუნებული სასარგებლო ნიშან-თვისებების მქონე საუკეთესო მცენარეთა გამორჩევისა და გამრავლების გზით ისეთი მცენარის ჯიშის მისაღებად, რომელიც სრულად უპასუხებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს, ამასთან, რომელიც არსებულ ჯიშებთან შედარებით იქნება ახალი, განსხვავებული, ერთგვაროვანი და თაობაში სტაბილური.

ტრადიციული სასელექციო მუშაობის 15 და მეტი წელია საჭირო ახალი ჯიშის გამოსაყვანად, მრავალწლიანი, მაგალითად ხეხილოვანი, კულტურების გამოყვანა კიდევ უფრო ხანგრძლივ დროსა და დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

მცენარის ახალი ჯიშის გამოყვანის, ან გამოვლენისა და გაუმჯობესების პროცესი ადამიანის მიზანმიმართული შემოქმედებითი საქმიანობაა და ასეთი შრომის ნაყოფი განეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს, რომელ-საც ესაჭიროება სამართლებრივი დაცვა, რათა ახალი ჯიშის სელექციონერს ამ ჯიშის გასამრავლებელი მასალის რეალიზაციის გზით მიიღოს გაწეული შრომისა და მატერიალური დანახარჯების ანაზღაურება და გარკვეული მოგება, როგორც ჯილდო მიღწეული წარმატებისათვის.

მცენარის ახალი ჯიშის სამართლებრივი დაცვა ხდება სელექციონერისათვის განსაკუთრებული უფლების მინიჭებით, რომლის პირობებსაც ადგენს შესაბამისი კანონმდებლობა.

საქართველოში ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია და ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუხებელია

საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1101 მუხლის თანახმად, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებზე განსაკუთრებული უფლების დაცვა ხორციელდება მოწმობის გაცემით.

მცენარეული წარმოშობის პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობის გააქტიურებამ და, ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყანაში ახალი ჯიშების სელექციონერთა განსაკუთრებული უფლებების მოპოვების მიმართ მოთხოვნებისა და ამ უფლებების დაცვის პირობების უნიფიცირების აუცილებლობამ განაპირობა დაინტერესებული ქვეყნების მიერ მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციის მიღება, რომლის ხელმოწერაც მოხდა პარიზში 1961 წელს (ძალაში შევიდა 1968 წელს, გადასინჯული იქნა ჟენევაში 1972, 1978 და 1991 წლებში).

UPOV-ის კონვენციის თანახმად შექმნილია კავშირი, რომლის შტაბბინაც განლაგებულია ჟენევაში და რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის სფეროში სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობათა მოთხოვნების პარმონიზება და საამისოდ მეთოდური და ტექნიკური დახმარების გაწევა.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების მოსამზადებელ პერიოდთან ერთად დაიწყო შესაბამისი სამუშაოები UPOV-ის კონვენციასთან საქართველოს შეერთების მიმართულებით, რადგან მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვა VTO-ს წევრი ქვეყნების ვალდებულებაა TRIPS შეთანხმების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ UPOV-ის კონვენციასთან საქართველოს შეერთებას ითვალისწინებდა, აგრეთვე, საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება პარტნიორობისა და კოოპერაციის შესახებ.

საქართველოს კანონი სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ, რომელიც, მიღებულ იყო 1996 წელს, განხილული იქნა UPOV-ის მე-16 საგანგებო სესიაზე 1999 წლის 26 მარტს კანონის კონვენციის 1991 წლის აქტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. წარმოდგენილ დასკვნაში კანონის მიმართ აღინიშნა სამართლებრივი ხასიათის შეუსაბამობანი და ხარვეზები, რომელთა გამოსწორება კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით უნდა განხორციელებულიყო.

საქართველოს UPOV-ის კონვენციასთან შეერთების მომზადების, ამიერკავკასიაში მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის მდგომარეობის შეფასებისა და ამ სფეროში სხვა ქვეყნების მოწინავე გამოცდილების გაზიარებისათვის მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირმა (UPOV) და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ (ისმო), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ დახმარებით 1999 წლის 5-7 ოქტომბერს, თბილისში ჩაატარა კავკასიის რეგიონალური სემინარი – მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვა, საპატენტო სისტემა და TRIPS-ის შეთანხმება.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ UPOV-ის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, მოლდავეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები. სემინარს მოხსენდა აღნიშნულ ქვეყნებში მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

იმ დროს, სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თაობაზე UPOV-ის დასკვნაში ჩამოთვლილი ხარვეზების გამოსწორება მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით (1999წ.), რომლის დანართში „ბოტანიკური გვარებისა და სახეობების ჩამონათვალი, რომელთაც მიკუთვნებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშები ექვემდებარება სამართლებრივ დაცვას და გასავრცელებლად დაშვებას“, შევიდა 67 ერთწლიანი და 26 მრავალწლიანი კულტურა. ეს კანონი ამჟამადაც მოქმედებს.

აღნიშნული კანონის თანახმად შექმნილი (1999წ.) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მცენარეთა ჯიშების სელექციონერთა უფლებების დაცვის ცენტრი – „საქჯიშცენტრის“ ფუნქციას და მოვალეობას შეადგენდა მცენარეთა ახალ ჯიშებზე სელექციონერთა უფლებების უზრუნველყოფა, სამართლებრივი დაცვის ან/და გასავრცელებლად დაშვების განაცხადის მიღება, გადაწყვეტილების გამოტანა, სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია და შესაბამისი დოკუმენტის გაცემა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მმართველობის სფეროში განხორციელებული რეფორმის შედეგად, „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ” საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად (2005 წ.), მე-5 მუხლის თანახმად მცენარეთა ახალ ჯიშებზე სელექციონერის უფლებების სამართლებრივი დაცვის ფუნქცია გადაეცა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს”. საქპატენტში ჩამოყალიბდა ცალკე სტრუქტურა – „ახალი ჯიშების დეპარტამენტი”, რომლის ფუნქციასა და მოვალეობას შეადგენს კანონპროექტებზე მუშაობა, მათ შორის ინსტრუქციების მომზადება, მცენარისა და ცხოველის ახალი ჯიშების განაცხადების მიღება და სელექციონერის უფლების მინიჭების უზრუნველყოფა.

ამავე კანონის 27-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა” შეიმუშავა და საქართველოს პარლამენტში წარადგინა საქართველოს კანონის პროექტები: „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ” და „ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ”. ამავე მუხლის თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა „საქართველოს მცენარეთა ჯიშების სელექციონერთა უფლებების დაცვის ცენტრი – „საქჯიშცენტრი”.

საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 ნოემბრის №2079-II დადგენილებით რატიფიცირდა „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის” საერთაშორისო კონვენცია.

აღსანიშნავია, რომ UPOV-ის კონვენციასთან შეერთებისათვის აუცილებელია, რომ ქვეყნის კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში იყოს ამ კონვენციის მოთხოვნებთან. გარდა ამისა, კონვენციით განსაზღვრული პროცედურით, ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა განხილული უნდა იქნეს UPOV-ის საბჭოს მიერ და მხოლოდ მისი დადებითი დასკვნის შემთხვევაში შეიძლება გახდეს ქვეყანა UPOV-ის წევრი.

„მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონპროექტის UPOV-ის ოფისში 2006 წლის სექტემბერს წინასწარი განხილვის დროს მიღებული შენიშვნების იმავე წლის ნოემბერში UPOV-ისა და საქართველოს

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ გამართულ სემინარზე განხილვის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 29 დეკემბერს დაამტკიცა აღნიშნული კანონპროექტი, ხოლო UPOV-ის 24-ე საგანგებო სესიის (25-31 მარტი, 2007წ.) გადაწყვეტილებით საქართველო მიუერთდა UPOV-ის კონვენციას.

საქართველოს UPOV-ის წევრობა და საერთაშორისო სამართალში აღიარებულ პრინციპებზე დაფუძნებული ახალი ქართული კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში სასელექციო საქმიანობის აღორძინებას და ჩვენი სელექციური მიღწევების უკეთ დაცვას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ქართველი სელექციონერები UPOV-ის წევრ ქვეყანაში განაცხადის წარდგენის შემთხვევაში ისარგებლებენ ისეთივე უფლებებით, როგორითაც სარგებლობენ ამ ქვეყნების სელექციონერები.

„მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის (2006წ) 45-ე მუხლის მოთხოვნების შესასრულებლად საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა მოამზადა, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა 2007 წლის 30 აგვისტოს №2-132 ბრძანებით დაამტკიცა „მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირების შედავებების განხილვის წესის, განაცხადის განხილვის, პროცედურული ვადების გაგრძელების, შეწყვეტისა და აღდგენის წესი და იმულებითი ლიცენზიის გაცემის წესი”.

აღნიშნული წესი წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს განაცხადის „საქპატენტში” წარდგენისათვის, მისი განხილვისა და სხვა პროცედურების განხორციელებისათვის, მცენარის ახალი ჯიშის რეგისტაციისა და მასზე მოწმობის გაცემისათვის.

მცენარის ახალი ჯიშის გამოყენებაზე სელექციონერის განსაკუთრებული უფლების მოქმედების ვადა მისი დარეგისტრირების დღიდან 25 წელია, მრავალწლიანი კულტურებისათვის – 30 წელი.

სელექციონერად ითვლება პირი, რომელმაც გამოავლინა და გააუმჯობესა ან გამოიყვანა მცენარის ახალი ჯიში, სამუშაოს მიმცემი ან აღნიშნული პირის უფებამონაცვლე (მუხლი 2).

მცენარის ახალი ჯიშის დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებია: სიახლე, განსხვავებულობა, ერთგვაროვნება, სტაბილურობა.

მცენარის ჯიშს აქვს სიახლე, თუ განაცხადის შეტანის დღისათვის ამ ჯიშის გასამრავლებელი მასალა სელექციონერის მიერ, ან მისი თანხმობით, არ გასხვისებულა გამოყენებისათვის ან/და არ გადაცემულა სხვა გზით მესამე პირისათვის საქართველოს ტერიტორიაზე 1 წლით ადრე; სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე საქპატეტში განაცხადის შეტანამდე 4 წლით ადრე; ხე-მცენარეების შემთხვევაში – 6 წლით ადრე.

კანონით დაშვებულია გამონაკლისები, როცა ჯიშს აღარ გააჩნია სიახლე, თუმცა არის საფუძველი სელექციონერის უფლების მინიჭებისათვის.

მცენარის ჯიშის განსხვავებულობის, ერთგვაროვნებისა და სტაბილურობის შემოწმება ხდება ჯიშის ორი ვეგეტაციის განმავლობაში გამოცდის შედეგების მიხედვით, ძირითადად UPOV-ის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში სათანადო აკრედიტაციის მქონე პირის მიერ.

ყველა კულტურაზე, რომელთან მიკუთვნებულ ჯიშებზეც იქნება წარდგენილი განაცხადი მცენარის ახალი ჯიშის რეგისტრაციაზე, კანონის შესაბამისად, უნდა იყოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის სახით დამტკიცებული ამ კულტურის ჯიშთგამოცდის მეთოდიკა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

აღნიშნული მეთოდიკა სავალდებულოა იმ პირისათვის, რომელიც წარადგენს საქართველოს აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში განაცხადს ამა თუ იმ კულტურის ან კულტურათა ჯგუფს მიკუთვნებული ჯიშების გამოცდისათვის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობაზე, თუმცა კანონმდებლობა უშვებს შემთხვევას, როცა ასეთი გამოცდა შეიძლება ჩატარდეს ან უკვე ჩატარდა UPOV-ის წევრ სხვა ქვეყანაში. UPOV-ის ვებგვერდის მისამართია: [www.upov.int](http://www.upov.int).

საქპატენტისათვის ახალი ჯიშების დაცვის ფუნქციის გადაცემით დაჩქარდა პრობლემური საკითხების გადაწყვეტა, სამართლებრივი თვალსაზრისით დაიხვეწა და საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვდა ეს საქმიანობა.

მცენარეთა და ცხოველთა ახალი აიშვილის დაცვის  
ოფიციალური ბიულეტენი

№ 3(4)

მთავარი რედაქტორი: გ. ბებრიშვილი  
პასუხისმგებელი გამოცემაზე: გ. ფანცავა

რედაქტორები: გ. ტატიშვილი  
გ. სიჭინავა  
კომპიუტერული ტყობა: გ. ორდენიძე  
ქ. სვანიძე  
რიზოგრაფი ბეჭდება: ი. გოგოლაშვილი

---

ფირავი 60

დაბეჭდილია საქართველოს პოლიგრაფიულ ბაზაში  
მის.: 0179, თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31